ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 67

"29" მარტი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, მელაანის ქუჩა, შესახვევი III, №34ა-ს მიმდებარედ 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: № 01.17.08.042.030) პირდაპირი განკარგვის წესით ნაზი დანელიასთვის (პ/ნ: 01023000067) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, მელაანის ქუჩა, შესახვევი III, №34ა-ს მიმდებარედ 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.08.042.030) პირდაპირი განკარგვის წესით ნაზი დანელიასთვის (პ/ნ: 01023000067) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 13 მარტის №19.282.383 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, მელაანის ქუჩა, შესახვევი III, №34ა-ს მიმდებარედ 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: № 01.17.08.042.030), სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 360 (სამას სამოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე